



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 120/ს
01/06/2022

120-21-4-202206011103



ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, კობი-ქვეშეთის გზის I ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, კობის სამშენებლო ბანაკის მიმდებარედ ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, კობი-ქვეშეთის გზის I ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, კობის სამშენებლო ბანაკის მიმდებარედ ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა დაგეგმილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, კობის სამშენებლო ბანაკის მიმდებარედ, კობი-ქვეშეთის გზის I ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში სამინისტროსთან შეთანხმებული ბეტონის ქარხნის ტერიტორიაზე (ს/კ: 74.05.11.167). ობიექტის განთავსების GPS კოორდინატებია: X- 459326.45, Y- 4711602.55. ნავთობპროდუქტების საცავიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს სოფ. აღმასიანში, დაახლოებით 365 მეტრში. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ბაიდარა, მიედინება საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 180 მეტრში, ხოლო, მდ. ნარვანი - 540 მეტრში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია ბეტონის ავზი, სადაც იგეგმება ნავთობპროდუქტების შესანახი 2 ერთეული ლითონის რეზერვუარის განთავსება. შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია 2 ერთეული ჰორიზონტალური მიწისზედა რეზერვუარის (40 მ³ და 60 მ³) განთავსება, რომელიც განკუთვნილი იქნება დიზელის ტიპის საწვავისთვის. აღნიშნული რეზერვუარები განთავსდება ტერიტორიაზე მოწყობილ ბეტონის ავზში, რომლის კედლის სისქე შეადგენს 20 სმ-ს, ხოლო ძირის - 40 სმ-ს. ბეტონის ავზის სიგრძეა 12 მ, სიგანე 3.2 მ, სიღრმე 2.4 მ და გადახურულია 0.7 სმ სისქის მეტალოკრამიტით. ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარები დამზადდება უჟანგავი ლითონისაგან, დაიფარება ანტიკოროზიული ნივთიერებებით, აღიჭურვება სასუნთქი სარქველებით,

მანომეტრებით და ტექნიკური მომსახურებისათვის განკუთვნილი სათადარიგო კიბით. ობიექტზე ასევე გათვალისწინებულია საწვავმარიგებელი სვეტის, მეხამრიდისა და ქრობის პირველადი საშუალებების - ცეცხლმაქრების მოწყობა. საპროექტო ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების შემოტანა განხორციელდება ქვეკონტრაქტორის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, ავტოცისტერნების საშუალებით. საწვავის მიღებისას გათვალისწინებული იქნება ავტოცისტერნის დაერთება დამიწების ჭანჭიკზე. რეზერვუარებიდან ნავთობპროდუქტები, მილსადენების მეშვეობით, მიეწოდება საწვავმარიგებელ სვეტს, საიდანაც მოხდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართვა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავი მოემსახურება კობი-ქვეშეთის გზის I ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, კობის სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მომსახურე ავტოსატრანსპორტო საშუალებებს. ობიექტზე წლის განმავლობაში დაგეგმილია 100 მ³ დიზელის საწვავის რეალიზაცია და სამუშაო რეჟიმად განსაზღვრულია წელიწადში 365 დღე, დღე-ღამეში 24 საათი. ობიექტზე დასაქმდება 3 ადამიანი. ნავთობპროდუქტების საცავის ოპერირება გათვალისწინებულია კობი-ქვეშეთის გზის I ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის დასრულებამდე.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს მასშტაბური და მოცულობითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოხდება ტერიტორიაზე არსებულ ბეტონის ავზში დიზელის საწვავისათვის განკუთვნილი 2 ერთეული ლითონის რეზერვუარის განთავსება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავის ფუნქციონირებისას ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. ნავთობპროდუქტების საცავის მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნიდან ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვისა და ავტომობილების გამართვისას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ობიექტის მცირე წარმადობის (წლიურად 100 მ³) გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა იქნება უმნიშვნელო და არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაცია არ უკავშირდება ხმაურისა და ვიბრაციის წარმომქმნელი დანადგარების განთავსებას. შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირების შედეგად, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების კანონმდებლობით დასაშვები დონეების გადაჭარბება, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (365 მ), არ არის მოსალოდნელი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციისას მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოქმნილი ნარჩენები შეგროვდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება მუნიციპალურ სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ტანსაცმელი, აბსორბენტები, ჩვრები და სხვა), შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

როგორც უკვე აღინიშნა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ბაიდარა, დაშორებულია 180 მეტრით, ხოლო მდ. ნარვანი - 540 მეტრით. ვინაიდან, ნავთობპროდუქტების რეზერვუარების განთავსება დაგეგმილია ტერიტორიაზე არსებულ

ბეტონის ავზში, რომელიც დაფარულია 0.7 სმ სისქის მეტალოკრამიტით, დაგეგმილი პროექტის ფარგლებში მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და ზედაპირული წყლის ობიექტებზე, მდ. ბაიდარასა და მდ. ნარვანზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული ტერიტორიების და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გავრცელებულია „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. ტერიტორია მობეტონებულია და მის მიმდებარედ არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავის სიახლოვეს, სხვა მსგავსი პროფილის ობიექტ(ებ)ი არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული გარემოზე კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილ იქნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის ადგილმდებარეობიდან, სპეციფიკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“ კობი-ქვეშეთის გზის I ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, კობის სამშენებლო ბანაკის მიმდებარედ ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო